

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია უკანასკნელ პერიოდში სანოტარო მომსახურების სფეროში დანერგილი მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლეები და ნოტარიუსის საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვის აუცილებლობა. კერძოდ, 2009 წლის 23 მარტიდან ქ. თბილისში სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია უკვე ხორციელდება ცენტრალიზებული ელექტრონული სანოტარო რეესტრის მეშვეობით. აღნიშნული რეესტრის შექმნა და ფუნქციონირების დაწყება შესაძლებელი გახდა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, თუმცა ამ სისტემის შენარჩუნებისა და შემდგომი დახვეწისათვის აუცილებელია საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის, როგორც ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრატორისათვის, შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმის სრულყოფას, აგრეთვე საქართველოს ნოტარიუსთა პალატის შემდგომი საქმიანობისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. ამასთან, კანონპროექტი მაქსიმალურად დაბალანსებულია იმგვარად, რომ მისი მიღება დიდ ტვირთად არ დააწვეს სანოტარო მომსახურების მიმღებ პირებს.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს რეესტრში გატარებული თითოეული სანოტარო მოქმედებისათვის რეგისტრაციის საფასურის შემოღებას, რომლის ოდენობაც განისაზღვრება 2,0 ლარით, ხოლო დოკუმენტების ასლების დამოწმებისათვის – ორმოცდაათი თეთრით. დოკუმენტების ასლების დამოწმებისათვის მცირე ოდენობის საფასურის დაწესება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დოკუმენტის ასლის დამოწმება ყველაზე გავრცელებული სანოტარო მოქმედებაა და ამ მოქმედებით სარგებლობს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალური ფენა. რეგისტრაციის საფასური ნოტარიუსის მიერ გადაერიცხება საქართველოს ნოტარიუსთა პალატას და მოხმარდება ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრირების ხარჯებს, აგრეთვე ნოტარიუსთა პალატის მიერ კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური გადაიხდევინება ნოტარიუსთან, რომელიც უზრუნველყოფს მის შეტანას საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ანგარიშზე

კანონპროექტით აგრეთვე გათვალისწინებულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სანოტარო არქივში დაცული სანოტარო დოკუმენტების მოძიებისათვის და არქივიდან გაცემისათვის საფასურის განაკვეთების დადგენა,

რაც ამ დრომდე მკაფიოდ არ იყო მოწესრიგებული. დღეისათვის საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სანოტარო არქივში ინახება უფლებამოსილება შეწყვეტილი ნოტარიუსების სანოტარო დოკუმენტები. ეს არქივი მუდმივად მზარდია და ითხოვს განსაკუთრებულ შენახვას და დაცვას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სანოტარო დოკუმენტები ექვემდებარებიან შენახვას სამუდამოდ. ნოტარიუსთა პალატის სანოტარო არქივიდან დოკუმენტების გაცემის ვადები და განაკვეთები შემუშავებულია საჯარო რეესტრის მიერ გაწეული მსგავსი მომსახურების ვადებისა და განაკვეთების ანალოგიურად. კანონპროექტით აგრეთვე გათვალისწინებულია ნოტარიუსთა პალატისათვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების წესი, რაც აქამდე ნორმატიული აქტით დადგენილი არ იყო და, შესაძლოა, გამოეწვიოს მთელი რიგი პრობლემები მოქალაქეებსა და ნოტარიუსთა პალატას შორის ურთიერთობებში.

კანონპროექტით გათვალისწინებულია განკარგვის უფლებით ქონების მინდობის (დავალების) ხელშეკრულების დამოწმების საზღაურის შემცირება და მისი გათანაბრება განკარგვის უფლების გარეშე დადებული ანალოგიური სახის ხელშეკრულების დამოწმების საზღაურთან. ამ მიზნით, კანონპროექტით გათვალისწინებულია კანონის მოქმედი რედაქციიდან 21-ე მუხლის ამოღება და შესაბამისი ცვლილების შეტანა კანონის 29-ე მუხლში მოცემული ცხრილის მე-7 პუნქტში.

კანონპროექტით გათვალისწინებულია საზღაურის განაკვეთი (25 ლარი) გარიგებაში ისეთი ცვლილების შეტანისას, რაც არ არის დაკავშირებული გარიგების ღირებულებასთან ან პირთა შეცვლასთან. ვინაიდან ნოტარიუსი უფლებამოსილია (და ვალდებულიც) მხარეებს სანოტარო საზღაური გადაახდევინოს მხოლოდ კანონით დადგენილი ოდენობით, ამ კონკრეტული განაკვეთის დაუდგენლობა ხშირად იწვევდა გაუგებრობებს სანოტარო პრაქტიკაში, აგრეთვე ნოტარიუსსა და სანოტარო მოქმედების განხორციელებით დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთობებში.

კანონპროექტით გათვალისწინებულია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის განაკვეთების დადგენა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო კრების ოქმის შედგენის, აგრეთვე კრების ჩაშლის შესახებ მოწმობის გაცემისათვის. აღნიშნული მომსახურებისათვის საზღაურის განაკვეთების დადგენის აუცილებლობა გამოწვეულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“ საქართველოს კანონში მომზადებული ცვლილებებით, რომელიც ითვალისწინებს ნოტარიუსის დასწრებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო კრებაზე.

პროექტი ითვალისწინებს კანონის მე-18 და მე-20 მუხლების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, საწარმოს „საწესდებო კაპიტალი“ შეიცვალა საწარმოს „კაპიტალი“.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული გარიგების (ხელშეკრულების) საფუძველზე. მითითებული ნორმა ავალდებულებს საწარმოს პარტნიორებს, რომ ნებისმიერი გარიგება, რაც დაკავშირებულია პარტნიორთა წილობრივ მონაწილეობასთან, დამოწმებული იქნას სანოტარო წესით. ამ სახის გარიგებების დადასტურებასთან დაკავშირებული საზღაურის ოდენობა დადგენილია „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით, რომელიც ასევე ადგენს იმ გარიგებების ღირებულებასა და შესაბამისი საზღაურის ოდენობას, რაც დაკავშირებულია

სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის შექმნასთან, რეორგანიზაციასთან, წესდებაში ცვლილებასთან და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმის მე-9 პუნქტი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს და აწესებს გადასახდელი საზღაურის როგორც მინიმალურ, ასევე მაქსიმალურ ოდენობას. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს დაწესებული შეზღუდვის ცვლილებას, რაც გაპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონი აგებულია იმ პრინციპზე, რომ სანოტარო მოქმედებისათვის დადასტურებული საზღაური გონივრულ შესაბამისობაში მოდიოდეს იმ ღირებულებასთან, რომლის ფარგლებშიც დაიღო და დადასტურდა გარიგება. გარიგების დადასტურებისას ნოტარიუსი ვალდებულია დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად, გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, შეამოწმოს პირის უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, დაიცვას მხარეთა ინტერესები და ა.შ. ამ სახით დადასტურებულ გარიგებაზე ნოტარიუსს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით გარიგების ნოტარიალური დადასტურებისას, კანონის ხსენებული ნორმა, ფაქტობრივად უგულვებელყოფს და შლის იმ სხვაობას, რაც არსებობს საწარმოთა შორის, მათი ეკონომიკური მახვენებლების (საწესდებო კაპიტალის), მათ შორის დადებული გარიგების ღირებულების და შესაბამისად საზღაურის გადახდევინების თვალსაზრისით და არსებული განსხვავების მიუხედავად, თითქმის თანაბარ პირობებში აყენებს ყველა საწარმოს. მაგალითად, პარტნიორი, რომელიც ასხვისებს თავის წილს საწარმოში, რომელიც შეადგენს საწესდებო კაპიტალის ნახევარს და რომლის ღირებულებაც (პირობითად) 350000 ლარი, ხელშეკრულებისათვის საზღაურს იხდის 50 ლარის ოდენობით, ისევე, როგორც ის პარტნიორი, რომლის წილის ღირებულება შეადგენს ასჯერ ნაკლებს, მაგ. 3500 ლარს. ხსენებული მექანიზმის გამო, მსგავს შემთხვევებში სანოტარო მომსახურებისას ხდება დადებულ გარიგებასთან შეუსაბამო და არაადეკვატური საზღაურის გადახდა, რაც მიზანშეუწონელია.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით კვლავ უცვლელი რჩება გადასახდელი საზღაურის მინიმალური ზღვარი, თუმცა იცვლება მაქსიმალური ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მიგვაჩია, რომ წარმოდგენილი ცვლილება უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული გარიგებებისათვის დაწესებული საზღაურის გონივრულ და სამართლიან შესაბამისობას მათ სამართლებრივ შედეგებთან. ამასთან, ხსენებული პრინციპი გარკვეულწილად შეუწყობს ხელს რეალური გარიგებების დადებას და ბოლოს, როგორც სხვა, ასევე ამ სახის გარიგებების დადასტურებისასაც მისაღები და გამართლებული იქნება იმ ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება ნოტარიუსს.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. ხარჯების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთ ხარჯებს გაიღებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

**ბ.ბ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ გაიზრდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დასაბეგრი მოგება.

**ბ.გ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

**ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტი გამოიწვევს სანოტარო მომსახურების გაძვირებას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, აგრეთვე საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივიდან დოკუმენტების ასლების მიღებაზე დაინტერესებულ პირთათვის.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტით ხდება სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასურის შემოღება, რაც თითოეული სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის განისაზღვრება 1,7 ლარით, ხოლო დოკუმენტების ასლების დამოწმებისათვის – ორმოცდაათი თეთრით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებების შემუშავებაში**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს  
ნოტარიუსთა პალატამ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე  
ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტები შეფასება  
არ არსებობს.**

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ  
საკითხთა კომიტეტი.